ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-პანსიონი „კომაროვი“

შაბათის სკოლა

2023 წელი

# მოსწავლის ონლაინ რეგისტრაცია „შაბათის სკოლაში“

# გ ზ ა მ კ ვ ლ ე ვ ი


სარეგისტრაციო სისტემაში შესვლა ------------ გვ. 2-4

ძველი მოსწავლის ბაზაში გააქტიურება ------ გვ. 5-6

ახალი მოსწავლის რეგისტრაცია --------------- გვ. 7-8

# სარეგისტრაციო სისტემაში შესვლა

სარეგისტრაციო სისტემაში შესვლა შესაძლებელი იქნება 2023 წლის 5 აგვისტოს 11 საათიდან.

5 და 6 აგვისტოს ონლაინ შესაძლებელი იქნება მხოლოდ არსებული მოსწავლეების მობილობა (5 და 6 აგვისტოს არსებული მოსწავლეების და-ძმების დარეგისტრირება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ადგილზე სკოლაში).

ახალი მოსწავლეების რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება 2023 წლის 7 აგვისტოს 11 საათიდან.

**1.** შებრძანდით reg.komarovi.edu.ge საიტზე და აირჩიეთ რეგიონი - თბილისი.




**2.** თუ არ გაქვთ დარეგისტრირებული მომხმარებელი დასარეგისტრირებლად აირჩიეთ ბმული: თუ არ ხართ დარეგისტრირებული შეავსეთ ფორმა.




შედეგად გადახვალთ შემდეგ გვერდზე, სადაც უნდა მიუთითოთ თქვენი ელ-ფოსტა და ნებისმიერი პაროლი. გაიმეორეთ იგივე პაროლი და დააჭირეთ ღილაკს - შესვლა.




ამის შემდეგ თქვენს ელ-ფოსტაზე გამოიგზავნება რეგისტრაციის დასასრულებელი ბმული. ამ ბმულზე გადასვლის შემდეგ ახალი მომხმარებელი უკვე რეგისტრირებულია. უკვე შეგიძლიათ reg.komarovi.edu.ge საიტზე გაიაროთ ავტორიზაცია, ანუ შეიყვანეთ თქვენი რეგისტრაციისას მითითებული ელ-ფოსტა და პაროლი და დააჭიროთ ღილაკს - შესვლა.




შედეგად, თქვენ უკვე იმყოფებით სარეგისტრაციო სისტემაში. ერთი მომხმარებლით ნებისმიერი რაოდენობის მოსწავლეების რეგისტრაციაა შესაძლებელი.

**3.** თუ თქვენ უკვე გაქვთ რეგისტრირებული მომხმარებელი (თუნდაც წინა წლებში), მაგრამ არ გახსოვთ რეგისტრაციის ელ-ფოსტა, იქცევით წინა პუნქტის შესაბამისად, არეგისტრირებთ ახალ მომხმარებელს. რეგისტრაციის მსვლელობისას თქვენ შესაძლოა მიუთითოთ ელ-ფოსტა, რომელზე უკვე არსებობს რეგისტრირებული მომხმარებელი.




შედეგად, თქვენ უკვე იცით თქვენი მომხმარებლის ელ-ფოსტა, მაგრამ არ გახსოვთ პაროლი. ასეთ დროს შეგიძლიათ დაარეგისტრიროთ ახალი მომხმარებელი სხვა ელ-ფოსტაზე, ან ისარგებლოთ მომდევნო პუნქტით.

**4.** თუ თქვენ დაგავიწყდათ თქვენი მომხმარებლის პაროლი, მაგრამ გახსოვთ მომხმარებლის ელ-ფოსტა, აირჩიეთ ბმული: თუ დაგავიწყდათ პაროლი მიყევით ამ ბმულს.




გადახვალთ გვერდზე, სადაც უნდა შეიყვანოთ თქვენი ელ-ფოსტა და დააჭიროთ ღილაკს - შეტანა.




შედეგად, თქვენს ელ-ფოსტაზე გამოიგზავნება პაროლის აღდგენის ბმული. ამ ბმულზე გადასვლის შემდეგ შეხვალთ გვერდზე, სადაც შეიყვანთ ახალ სასურველ პაროლს, გაიმეორებთ მას და დააჭერთ ღილაკს - აღდგენა.




მიიღებთ ინფორმაციას, რომ პაროლი წარმატებით შეიცვალა. უკვე შეგიძლიათ reg.komarovi.edu.ge საიტზე გაიაროთ ავტორიზაცია, ელ-ფოსტითა და აღდგენილი პაროლით.

## ძველი მოსწავლის ბაზაში გააქტიურება

ძველი მოსწავლეების ბაზაში გააქტიურება შესაძლებელი იქნება 2023 წლის 5 აგვისტოს 11 საათიდან.

**1.** თუ თქვენ იმყოფებით სარეგისტრაციო სისტემაში, თუ მოსწავლემ დაასრულა შაბათის სკოლის 2022-23 სასწავლო წლის მესამე მოდული, აირჩიეთ ზედა მარცხენა კუთხეში მდებარე შესაბამისი ბმული:

იმ მოსწავლეთა რეგისტრაცია, რომლებმაც დაამთავრეს 2022-23 სასწავლო წლის მესამე მოდული.




**2.** იმ მოსწავლეებს, რომლებმაც დაამთავრეს 2022-23 სასწავლო წლის მე-3 მოდული, სკოლიდან არაუგვიანეს 4 აგვისტოსი მიიღებემ სარეგისტრაციო კოდს. ეს კოდი შეიყვანეთ შესაბამის ველში და დააჭირეთ ღილაკს - შეტანა. თუ აღნიშნული კოდი არ მიიღებთ, მიმართეთ სარეგისტრაციო გუნდს 5 აგვისტოდან.




შედეგად ნახავთ, თუ რომელ ჯგუფში იმყოფებით ამჟამად. სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია ჯგუფის შეცვლა. ჯგუფის შეცვლა შესაძლებელია მრავალჯერადად ნებისმიერ დროს 10 სექტემბრამდე. ამისათვის კურსორი მიიტანეთ მოსწავლის გვართან. მოსწავლის უჯრის ფონი გამწვანდება და დააჭირეთ მოსწავლის გვარს. გამოჩნდება ჯგუფების ჩამონათვალი და აირჩიეთ სასურველი, თავისუფალი ჯგუფი. ჯგუფის შერჩევის შემდეგ, აუცილებლად დააჭირეთ მასწავლებლების გვარების ქვევით არსებულ ღილაკს - შეტანა. შეავსეთ მოსწავლის პირადი ნომრის ველი. **პირადი ნომრის სრულყოფილად მითითება აუცილებელია, რადგან ელექტრონულ ჟურნალში (https://schoolbook.ge/) თქვენი მომხმარებელი ამ პირად ნომერზე დარეგისტრირდება.**



**მიაქციეთ ყურადღება, რომ იმ მასწავლებლებს, რომლებიც მხოლოდ ონლაინ გაკვეთილებს ჩაატარებენ, ეს ინფორმაცია მათი გვარის გასწვრივ ექნებათ მითითებული.**

**3.** გადახდის რეკვიზიტების მისაღებად დააჭირეთ ბმულს - გადახდის კოდის მიღება. სკოლის ანგარიშზე თანხის გადახდისას დანიშნულებაში მიუთითეთ „შაბათის სკოლა", მოსწავლის გვარი, სახელი, კლასი, პედაგოგი, აგრეთვე, მიუთითეთ გადახდის კოდი (თუ გადახდის კოდი დაგავიწყდათ, მოსწავლის სახელთან, გვართან, კლასთან ერთად მიუთითეთ პედაგოგი მაინც). ამჟამინდელი მოსწავლეებისათვის, გააქტიურდება თუ არა სისტემაში, განახორციელებს თუ არა მობილობას, მიუხედავად სისტემაში დაწერილი შეტყობინებისა, თანხის გადახდა არ არის სავალდებულო 1 სექტემბრამდე. თანხის ჩარიცხვის შემდეგ სტატუსი "გადახდილია" დაფიქსირდება ჩარიცხვიდან არაუგვიანეს 3 დღეში.




**4.** ძველი მოსწავლეების ბაზაში გააქტიურებაში დახმარებისთვის 5 და 6 აგვისტოს, ხოლო 7 აგვისტოდან, შაბათ-კვირის გარდა ყოველდღე, 11:00-დან 17:00 საათამდე, შემდეგ ნომრებზე დაგვიკავშირდით: 2399316, 2399336, 2396796;

ან მოგვწერეთ ელ-ფოსტაზე: komarovishabati@gmail.com

ან მოგვწერეთ facebook-ზე www.facebook.com/komarovi199/ (ე.წ. ინბოქსში)

## ახალი მოსწავლის რეგისტრაცია

ახალი მოსწავლეების რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება 2023 წლის 7 აგვისტოს 11 საათიდან.

**1.** თუ თქვენ იმყოფებით სარეგისტრაციო სისტემაში და არეგისტრირებთ ახალ მოსწავლეს აირჩიეთ მარცხნივ მდებარე ბმული: ახალი მოსწავლის რეგისტრაცია.




**2.** ამის შემდეგ შეგყავთ მოსწავლის მონაცემები: გვარი, სახელი, პირადი ნომერი, მშობლების ტელეფონის ნომერი/ან ნომრები, ელფოსტა და სკოლა. ირჩევთ საგანსა და კლასს. ირჩევთ პედაგოგს, სასურველ ჯგუფს საათის და დღის მიხედვით. აჭერთ „შეტანის" ღილაკს და სისტემას გადაყავხართ მომდევნო გვერდზე. **პირადი ნომრის სრულყოფილად მითითება აუცილებელია, რადგან ელექტრონულ ჟურნალში (https://schoolbook.ge/) თქვენი მომხმარებელი ამ პირად ნომერზე დარეგისტრირდება.** **მიაქციეთ ყურადღება, რომ იმ მასწავლებლებს, რომლებიც მხოლოდ ონლაინ გაკვეთილებს ჩაატარებენ, ეს ინფორმაცია მათი გვარის გასწვრივ ექნებათ მითითებული.**




**3.** რეგისტრაციის დასრულების შემდეგ გვერდზე დაიწერება გადახდის რეკვიზიტები და მოსწავლის მონაცემები. გადახდის რეკვიზიტების მისაღებად შეგიძლიათ ასევე დააჭიროთ ბმულს - გადახდის კოდის მიღება. სკოლის ანგარიშზე თანხის გადახდისას დანიშნულებაში მიუთითეთ „შაბათის სკოლა", მოსწავლის გვარი, სახელი, კლასი, გადახდის კოდი და სასურველია, პედაგოგიც. (თუ გადახდის კოდი დაგავიწყდათ, მოსწავლის სახელთან, გვართან, კლასთან ერთად

აუცილებლად მიუთითეთ პედაგოგი). თანხა უნდა ჩაირიცხოს რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი სამსახური გააუქმებს მოსწავლის რეგისტრაციას. თანხის ჩარიცხვის შემდეგ სტატუსი "გადახდილია" დაფიქსირდება ჩარიცხვიდან არაუგვიანეს 3 დღეში. ონლაინ ბანკით თანხის ჩარიცხვის ინსტრუქცია იხილეთ რელიზში.




**4.** ჯგუფის შეცვლა შესაძლებელია მრავალჯერადად ნებისმიერ დროს 10 სექტემბრამდე. ამისათვის კურსორი მიიტანეთ მოსწავლის გვართან. მოსწავლის უჯრის ფონი გამწვანდება და დააჭირეთ მოსწავლის გვარს. გამოჩნდება ჯგუფების ჩამონათვალი და აირჩიეთ სასურველი, თავისუფალი ჯგუფი. ჯგუფის შერჩევის შემდეგ, აუცილებლად დააჭირეთ, მასწავლებლების გვარების ქვევით არსებულ ღილაკს - შეტანა.




**5.** თუ გსურთ დაარეგისტრიროთ სხვა ახალი მოსწავლე, გაიმეორეთ იგივე პროცედურა.

**6.** ახალი მოსწავლეების რეგისტრაციაში დახმარებისთვის დაგვიკავშირდით 7 აგვისტოდან, შაბათ-კვირის გარდა, 11:00-დან 17:00 საათამდე შემდეგ ნომრებზე: 2399316, 2399336, 2396796;

ან მოგვწერეთ ელ-ფოსტაზე: komarovishabati@gmail.com

ან მოგვწერეთ facebook-ზე www.facebook.com/komarovi199/ (ე.წ. ინბოქსში)

## ადგილზე რეგისტრაცია

მათთვის, ვისაც არ სურს ონლაინ რეგისტრაცია, სკოლის სარეგისტრაციო გუნდი იმუშავებს 5 და 6 აგვისტოს, ხოლო 7 აგვისტოდან, შაბათ-კვირის გარდა ყოველდღე, 11:00-დან 17:00 საათამდე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N49, კომაროვის სკოლა, ოთახი N119.

არსებული მოსწავლეების მობილობა შესაძლებელი იქნება 2023 წლის 5 აგვისტოს 11 საათიდან.

ახალი მოსწავლეების რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება 2023 წლის 7 აგვისტოს 11 საათიდან.

არსებული მოსწავლეების დებისა და ძმების რეგისტრაცია 5 და 6 აგვისტოს შესაძლებელი იქნება მხოლოდ სკოლაში, 7 აგვისტოდან- როგორც ონლაინ, ასევე-ადგილზე.